ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #2017-084

ქ.თბილისი

07 აპრილი 2017 წ

ერთის მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის ნათია კაციტაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აკა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით მკალავიშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მუხლი 10[1], პუნქტი 3-ის თ) ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების ობიექტი და მიწოდების ვადა

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომობილის Mercedes-Benz GLA 250 სახ-ფო # **OO992JJ** ტექნიკურ მომსახურებას (**50110000 ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) 2017 წლის 30 აპრილამდე.**

Nr.	ტექნიკური სამუშაოს დასახელება	სათადარიგო ნაწილის ღირებულება	მომსახურების ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ჰაერის ფილტრი	135.00	14.00	149.00
2	წინა სამუხრუჭე ხუნდები	290.00	36.00	326.00
3	საბურავის დაშლა აწყობა ბალანსირება (4 საბურავი)		80.00	80.00
4	ძრავის ზეთი 6ლ.	180.00	10.00	190.00
5	ხუნდების ცვეთის სენსორი	25.00		25.00
6	ძრავის ზეთის ფილტრი	50.00		50.00
				820.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 820.00 (რვაასოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (სპეციალური ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები, მიღება-ჩაბარების წესი და გარანტია

5.1. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სერვის ცენტრ(ებ)ში.

5.3. მომსახურება ან მისი ნაწილი მიღებულად მიიჩნევა მხოლოდ მხარეთა მიერ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.4. მიწოდებულ სათადარიგო ნაწილებს ან/და მომსახურებას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი გარანტია. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მიწოდებულ სათადარიგო ნაწილებზე ან/და მომსახურებაზე გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, შეტყობინებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების მიწოდების დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურება.

გ) ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ მიმწოდებელი სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აანაზღაუროს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით; ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) მომსახურების მიწოდების დროს გამოიყენოს მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილები და დასაზეთი ზეთები, რომლებიც უნდა იყოს მსოფლიოში ცნობილი წამყვანი კომპანიების მიერ წარმოებული და უნდა

იყოს დანართი მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელი კომპანიების მიერ აღიარებული;

გ) განიხილოს შემსყიდველის დასაბუთებული პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

დ) აუნაზღაურონ შემსყიდველს მომსახურების მიწოდების დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზარალის აღმოფხვრის ხარჯები;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი მალხაზ საბანიძე - ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი და ნოდარ ჯავარაშვილი – ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის სპეციალისტი მძღოლი

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, ასევე მიიღოს საჭიროების მიხედვით მატერიალური ფასეულობები და მომსახურება თანდართულ საბუთებთან ერთად, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, რაც არის დაკავშირებული აღნიშნული ფასეულობების თუ მომსახურებების მისაღებად.

7.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი)

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ.თბილისი ნ.რამიშვილის 6 საიდ.კოდი: 203860679 ტელ: 913814/15 ფაქსი: 913841 ელ–ფოსტა:mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900	შპს „აკა" , ს/კ 204875082, ტელ: 2 200 155 მის: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N6, სს „ბანკი რესპუბლიკა", ა/ა GE67BR0000000006467464.
სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე	დირექტორი დავით მკალავიშვილი